



1963 / 3.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს  
უწყებები



№ 36 (233) 30 დეკემბერი 1963 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

ბანყოფილება პირველი

- 555. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, რომ რატიფიცირებულ იქნეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შეთანხმება ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საქმეში შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.
- 556. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნარკოტიკული საშუალებების თაობაზე დადებული 1961 წლის ერთიანი კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.
- 557. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შაქრის თაობაზე დადებული 1958 წლის საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმის რატიფიკაციის შესახებ.
- 558. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დუნაის კომისიის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების თაობაზე დადებული კონვენციის რატიფიკაციის შესახებ დადგენილება კავშირის საბჭოსი სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.
- 559. დადგენილება ეროვნებათა საბჭოსი სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.
- 561. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964—1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ.
- 562. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1964—1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 563. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
- 564. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახმშენის და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საკავშიროდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოებად გარდაქმნის, ზოგიერთი სამინისტროს და სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნისა და გადარქმევის და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

6049

ქვემოთაშენი  
რეზოლუციები

- 565. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სასოფაოდებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ“.
- 566. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ მატარებლის ოვითნებური ვაჭარებისათვის, როცა ეს საჭირო არ არის“.
- 567. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ის ბრძანებულებანი, რომლებიც შეეხება ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების გამოყენებას.
- 568. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „იმ წესის შესახებ, თუ როგორ უნდა გახდეს ადგილობრივი ანდა რესპუბლიკური დაქვემდებარების საცდელი (ექსპერიმენტული) საწარმო საკავშირო დაქვემდებარების საცდელ (ექსპერიმენტულ) საწარმოდ“.
- 569. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „უახახეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკეთის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.
- 570. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. დ. თ. უსტინოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.
- 571. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ლ. ვ. სმირონოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
- 572. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ნ. გ. იგნატოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
- 573. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის მინისტრების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
- 574. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ნ. ნ. ორგანოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 575. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ნ. გ. იგნატოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.
- 576. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. შ. მ. არუშანიანის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 577. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ნ. ხ. არუთინიანის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

### ბანყოფილება მიმოდ

578. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. კ. ა. გუსეინოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
579. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ე. ალვას „საბატო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
580. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ი. ევლოკმოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
581. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ნ. ი. კალშიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
582. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ს. ე. სტეცენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
583. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს კრასნოხლმის მაუდის კომბინატის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
584. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ გ. ი. პიმენოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
585. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ აშხ. ი. ა. კაიროვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

### ბანყოფილება მისამო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს მ. ა. ისენდეროვს რწმუნების სიგელები გადასცა ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩ. ო. იფაგუემ.

სსრ კავშირის საბარლამენტო ჯგუფის კრება.

## ნაწილი 11

### ბანყოფილება პირველი

586. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ეპრობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ ეპრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
587. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 — 1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ.
588. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1964 — 1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
589. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
590. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 34 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
591. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 20, 107, 108, 109 და 110 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
592. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

593. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 56 მუხლებში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.
594. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „იმ პირების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც იყიდიან პურსა და პურეტულის სხვა პროდუქტებს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად“ დამტკიცების თაობაზე.
595. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 2421 მუხლი“ დამტკიცების თაობაზე.
596. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საბროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.
597. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.
598. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
599. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. მ. მ. ლელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.
600. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. აშხ. ი. გ. რთველიაშვილის და ვ. ზ. თიხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
601. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. აშხ. ო. ი. ლოლაშვილის და ს. ე. ხოსროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩევის შესახებ.
602. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. აშხ. ნ. ი. ერქომაიშვილისა და შ. დ. თორიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ.
603. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. ს. ე. ხოსროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სამანდატო კომისიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
604. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. ე. ე. ჯამრულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის წევრად არჩევის შესახებ.
605. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. ო. ი. ლოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
606. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. დ. ვ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
607. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. ვ. ვ. ნაწიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საბიუჯეტო კომისიის წევრად არჩევის შესახებ.
608. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი პრეზიდიუმისა შპრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შესახებ.
609. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ.
- საინფორმაციო ცნობა.



ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**555** იმის თაობაზე, რომ რატიფიცირებულ იქნეს საბჭოთა კავშირ-  
იუგოსლავიის შეთანხმება ატომური ენერჯის მფლობელობის  
მიზნებისათვის გამოყენების საქმეში უმჯობესი თანამშრომლობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკა-  
ციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შო-  
რის ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საქმეში  
შემდგომი თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილი ბელგრადში 1963 წლის  
10 იანვარს, რატიფიცირებულ იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრძენიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 14 დეკემბერი.

№ 1983-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**556** ნარკოტიკული საშუალებების თაობაზე დადებული 1961 წლის  
ერთიანი კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკა-  
ციოდ წარმოდგენილი 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუა-  
ლებების შესახებ, ხელმოწერილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის მიერ ნიუ-იორკში 1961 წლის 31 ივლისს, რატიფიცირებულ იქნეს  
შენიშვნით, რომელიც გააქვთა სსრ კავშირის მთავრობამ აღნიშნული კონვენ-  
ციის ხელმოწერის დროს, აგრეთვე შემდეგი განცხადებით:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს საჭიროდ მიაჩნია  
ყურადღება მიაქციოს ნარკოტიკული საშუალებების შესახებ დადებული ერ-  
თიანი კონვენციის 40 მუხლის 1 პუნქტის დისკრიმინაციულ ხასიათს, რომლის  
შესაბამისადაც ზოგიერთი სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას გახდეს  
ამ კონვენციის მონაწილე. ერთიანი კონვენცია ეხება საკითხებს, რომლებიც  
წარმოადგენს ინტერესს ყველა სახელმწიფოსათვის, და მიზნად ისახავს გამოი-  
ყენოს ყველა ქვეყნის მეცადინეობა სოციალურ სიავესთან — ნარკოტიკების  
ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლაში. ამიტომ კონვენცია ხსნილი უნდა იყოს  
ყველა ქვეყნისათვის. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის

შესაბამისად არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩამოაშოროს სხვა ქვეყნები მსგავს კონვენციებში მონაწილეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 14 დეკემბერი.

№ 1984-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 557 შაჰრის თაოგაზე დადებული 1958 წლის საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ოქმი, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ლონდონში 1963 წლის 15 სექტემბერს, შაჰრის თაოგაზე დადებული 1958 წლის საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, რატიფიცირებულ იქნეს შემდეგი შენიშვნებით:

იგულისხმება, რომ სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიური წყობილებისა და მისი გეგმიანი სახალხო მეურნეობის გამო, შეთანხმების 10 და 13 მუხლები, რომლებიც შეეხება წარმოებისა და მარაგის შეზღუდვას, აგრეთვე მუხლი 3, რომელიც შეეხება შაჰრის ექსპორტის სუბსიდირებას, სსრ კავშირს არ ეხება.

საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, როგორც ეს მან გააკეთა შეთანხმების ხელმოწერის დროსაც, რომ რადგან ჩანაკიშელთა ხროვა არავის არ წარმოადგენს, რადგან მას არა აქვს უფლება გამოდიოდეს ჩინეთის სახელით, რის გამოც მისი ყველა საერთაშორისო აქცია უკანონოა, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ამიტომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი კვლავ ადასტურებს, რომ იგი არ ცნობს ჩანაკიშელთა ხელმოწერას აღნიშნულ ოქმზე.

მსოფლიოში არსებობს ჩინეთის მხოლოდ ერთი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ჩინეთს წარმოადგენს მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 14 დეკემბერი.

№ 1985-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 558 დუნაის კომისიის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების თაობა- ზე დადებული კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი კონვენცია დუნაის კომისიის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, ხელმოწერილი ბუდაპეშტში სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ 1963 წლის 15 მაისს, რატიფიცირებულ იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 14 დეკემბერი.

№ 1986-VI.

დადგენილება კავშირის საბჭოსი

## 559 სამანდატო კომისიის მოხსენების ბაზო

მოსმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, კავშირის საბჭო ადგენს ცნობილ იქნეს რწმუნებანი კავშირის საბჭოს დეპუტატებისა:

გრიგოლ პეტრეს ძე პავლოვისა, რომელიც არჩეულია 1963 წლის 3 მარტს ელვის № 238 საარჩევნო ოლქში;

იზიასლავ გენრიხის ძე ბალიასინსკისა, რომელიც არჩეულია 1963 წლის 3 მარტს ჩაბაევსკის № 226 საარჩევნო ოლქში;

ნისახანუმ ბალაკიმი ყზი მირზოევასი, რომელიც არჩეულია 1963 წლის 26 მაისს ნახჭევანის № 721 საარჩევნო ოლქში;

ანასტასია ათანასეს ასული მაკაროვასი, რომელიც არჩეულია 1963 წლის 30 ივნისს ლენინგრადის № 13 საარჩევნო ოლქში;

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კაჩალოვისა, რომელიც არჩეულია 1963 წლის 30 ივნისს ანგარსკის № 176 საარჩევნო ოლქში;

გრიგოლ ალექსანდრეს ძე სმოლიანოვისა, რომელიც არჩეულია 1963 წლის 29 სექტემბერს ყამირის № 267 საარჩევნო ოლქში;

ტატიანა ვლადიმერის ასული შლოპაკისა, რომელიც არჩეულია 1963 წლის 24 ოქტომბერს ივანე ფრანკოს № 552 საარჩევნო ოლქში;

მიროსლავ ვასილის ძე გრაბოვსკისა, რომელიც არჩეულია 1963 წლის 27 ოქტომბერს ლვოვის № 523 საარჩევნო ოლქში;

ვასილ გრიგოლის ძე სტებლიანკოსი, რომელიც არჩეულია 1963 წლის 24 ნოემბერს ჩისტიაკოვოს № 479 საარჩევნო ოლქში.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 16 დეკემბერი.

## დადგენილება ეროვნებათა საბჭოსი

**560** სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, ეროვნებათა საბჭო ადგენს ცნობილ იქნეს რწმუნებანი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებისა:

საფარ სალივეისა, რომელიც არჩეულია 1962 წლის 16 დეკემბერს ყურ-ლან-ტიუბეს № 287 საარჩევნო ოლქში ტაჯიკეთის სს რესპუბლიკისაგან, და  
 ჟალგასბაი სუტიბაევისა, რომელიც არჩეულია 1963 წლის 29 სექტემბერს ყიზილ-ორდის № 113 საარჩევნო ოლქში ყაზახეთის სს რესპუბლიკისაგან.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**561** სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმა, რომელიც მოამზადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, შესწორებებით, რომლებიც შეიტანეს კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 1997-VI.

## კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**562** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის  
 1964 — 1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო  
 ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 91.925.536 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 91.385.282 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 540.254 ათასი მანეთის გადაშვებით.

**მუხლი 2.** დაწესდეს სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან სულ 84.722.103 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — ქიმიური, ნავთობის, მანქანათსაშენებელი და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 38.746.259 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 32.800.370 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 9.854.903 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის 13.289.000 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დაწესდეს სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის შესანახავად 1.109.949 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 7.** დამტკიცდეს 1964 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 43.181.578 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 42.641.324 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 540.254 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 8.** დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლითა და გასავლით 50.075.302 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

(ათასი მანეთი)

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	29.163.260
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.292.073
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.531.683
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.598.918
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.912.663
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	837.310
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	819.631
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	692.986
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	435.275
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	553.329
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	473.857
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	435.097
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	533.246
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	422.200
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	373.774

**მუხლი 9.** დამტკიცდეს 1964 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუჯეტში — 27,2 პროცენტი, უკრაინის სსრ — 27,6 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 50,9 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 85,9 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 85 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 83,6 პროცენტი, ლიტვის სსრ — 79,9 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 25,4 პროცენტი, ლატვიის სსრ — 19,3 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 92,9 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 98,8 პროცენტი, სომხეთის სსრ — 100 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 52 პროცენტი;

ბ) 1964 წელს 3-პროცენტის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი;

გ) ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისაგან — 100 პროცენტი.

1964 წლის საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოს ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 1.237.392 ათასი მანეთი, სომხეთის სსრ სახელმწიფო

ბიუჯეტს — 34.246 ათასი მანეთი და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 59.706 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის გეგმით.

**მუხლი 10.** მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში სულ 101.180.084 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 100.375.821 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 804.263 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 11.** დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების დასკვნებსა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის თანამოხსენებაში, აგრეთვე დეპუტატთა მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 1998-VI.

### დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

## 563 სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 84.306.174 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 82.154.194 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 2.151.980 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 1999-VI.

## კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**564** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მუშა-  
ნეობის უმაღლესი საბჭოს შემადგენელი, სახალხო მუშა-  
ნეობის საბჭოს, სახეშენის და სახელმწიფო საგანგებო კომიტეტის საკავშირო-  
დან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოებად გარდაქმნის, ზოგიერთი  
სამინისტროს და სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნისა და გადარ-  
ქმნის და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზო-  
გიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე  
მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებუ-  
ლებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები:

1963 წლის 21 იანვრისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის  
დარგების ზოგიერთი სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭოს მშენებლობის სახელმწიფო საბჭოს შესახებ“;

1963 წლის 5 თებერვლისა „შუა აზიის ეკონომიური რაიონის შექმნის  
შესახებ“;

1963 წლის 13 მარტისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის  
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნის შესახებ“;

1963 წლის 13 მარტისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს სა-  
ერთო-საკავშირო ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქ-  
მნის შესახებ“;

1963 წლის 13 მარტისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის  
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გადარქმევის შესახებ“;

1963 წლის 13 მარტისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო  
საგეგმო კომიტეტის საერთო-საკავშირო ორგანოდან საკავშირო-რესპუბლი-  
კურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“;

1963 წლის 13 მარტისა „მთელი რიგი სამინისტროებისა და სახელმწიფო  
კომიტეტების გარდაქმნისა და გადარქმევის შესახებ“;

1963 წლის 23 მარტისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის  
სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1963 წლის 10 აგვისტოსი „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სი-  
ტყვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1963 წლის 16 ოქტომბრისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბ-  
ჭოსთან არსებული ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნის შესახებ  
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელ-  
მწიფო კომიტეტად“;

**მუხლი 2.** ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური რაიონების შექმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციაში:

60 მუხლის „გ“ პუნქტი გადმოცემულ იქნეს შემდეგნაირად:

„გ) ამტკიცებს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტს, ქმნის რესპუბლიკის ეკონომიურ რაიონებს“;

68 მუხლის „ა“ და „ვ“ პუნქტები გადმოცემულ იქნეს შემდეგნაირად:

„ა) აერთიანებს და წარმართავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებისა და თავისი ქვემდებარე სხვა დაწესებულებების მუშაობას“;

„ვ) ქმნის სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან სამეურნეო, კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა სპეციალურ კომიტეტებსა და მთავარ სამმართველოებს“;

მუხლები 69, 70, 77, 78 და 82 გადმოცემულ იქნეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 69.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს მმართველობისა და მეურნეობის იმ დარგებში, რომლებიც სსრ კავშირის კომპეტენციას ეკუთვნიან, შეაჩეროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებები და განკარგულებები, გააუქმოს სსრ კავშირის მინისტრების ბრძანებები და ინსტრუქციები. აგრეთვე თავისი ქვემდებარე სხვა დაწესებულებების აქტები.

**მუხლი 70.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრები;

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარენი თანამდებობით“.

„**მუხლი 77.** საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნის:

საგარეო ვაჭრობის სამინისტრო;

საზღვაო ფლოტის სამინისტრო;

გზათა სამინისტრო.

**მუხლი 78.** საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნის.

უმადლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო;

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;

საგარეო საქმეთა სამინისტრო;

კულტურის სამინისტრო;

თავდაცვის სამინისტრო;

კავშირგაბმულობის სამინისტრო;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ფინანსთა სამინისტრო“.

„**მუხლი 82.** მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი, გააუქმოს მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი და განკარგულებანი, აგრეთვე რესპუბლიკური სახალხო მეურნეობის



საბჭოს და რესპუბლიკის ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი“.

მუხლები 88-ა და 88-ბ ამოღებულ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 2000-VI.

## კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**565** იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 6 აპრილის ბრძანებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 2001-VI.

## კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**566** იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გააღვივების შესახებ მატარებლის თვითნებური განკარგვისათვის, როცა ეს საშირო არ არის“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულება „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გააღვივების შესახებ“.

რების შესახებ მატარებლის თვითნებური გაჩერებისათვის, როცა ეს საჭიროა არის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 2002-VI.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**567** იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ის ბრძანებულება, რომელიც შეეხება ადვინენსტრაციული წესით დაჯარიმების გამოყენებას

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1963 წლის 8 მაისისა „მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში საპასპორტო სისტემის წესების დარღვევისათვის დაჯარიმების წესის შესახებ“;

1963 წლის 11 ნოემბრისა „სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ცხოველთა კარანტინის ნორმების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დამრღვევთა, აგრეთვე ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკითხებზე ადგილობრივი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამრღვევთა დაჯარიმების წესის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 2003-VI.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**568** იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „იმ წესის შესახებ, თუ როგორ უნდა გახდეს ადგილობრივი ანდა რესპუბლიკური დაქვემდებარების სასაქონლო (ეკსპერიმენტული) საწარმო საკავშირო დაქვემდებარების სასაქონლო (ეკსპერიმენტული) საწარმო“

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 8 ივნისის ბრძანებულება „იმ წესის შესახებ, თუ როგორ უნდა გახდეს ადგი-



ლობრივი ანდა რესპუბლიკური დაქვემდებარების საცდელი (ექსპერიმენტული) საწარმო საკავშირო დაქვემდებარების საცდელ (ექსპერიმენტულ) საწარმოლ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.  
№ 2004-VI.

**კ ა ნ ო ნ ი**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**569** იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკეთის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება „ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკეთის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.  
№ 2005-VI.

9049.

დადგინდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

**570** ანხ. დ. თ. უსტინოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეთრენოვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნვის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაზე დადგინების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 13 მარტის ბრძანებულებანი ანხ. დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავში-

რის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 2006-VI.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

**571** ამხ. ლ. ვ. სმირნოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 13 მარტის ბრძანებულება ამხ. ლეონიდ ვასილის ძე სმირნოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 2007-VI.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

**572** ამხ. ნ. ბ. იზნატოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამხმარებელთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებანი ამხ. ნიკოლოზ გრიგოლის ძე იზნატოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამხმარებელთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე.

ლეობისაგან გათავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრძანაძი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორვაძე,

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 დეკემბერი.

№ 2008-VI.

### დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

**573** სსრ კავშირის მინისტრების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო აღდგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1962 წლის 26 დეკემბრისა — ამხ. ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე ტარასოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 26 დეკემბრისა — ამხ. პეტრე ვასილის ძე ნაუმენკოს სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1963 წლის 17 იანვრისა — სსრ კავშირის მინისტრის ამხ. ლეონიდ რომანის ძე კორნიეცის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1963 წლის 22 იანვრისა — ამხ. ივანე ალექსის ძე გრიშმანოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1963 წლის 29 იანვრისა — ამხ. მიხეილ ვასილის ძე პოსოხინის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1963 წლის 13 თებერვლისა — ამხ. ვალენტინ მიხეილის ძე გუშჩინის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1963 წლის 8 მარტისა — ამხ. კონსტანტინე გიორგის ძე პისინის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1963 წლის 8 მარტისა — ამხ. ივანე პლატონის ძე ვოლოჯინკოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1963 წლის 13 მარტისა — ამხ. ალექსანდრე მიხეილის ძე ტარასოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1963 წლის 13 მარტისა — ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაიბაკოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

- 1963 წლის 13 მარტისა — ამხ. სერგი ალექსის ძე ზვერევის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;
- 1963 წლის 23 მარტისა — ამხ. ალექსი ვლადიმერის ძე რომანოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;
- 1963 წლის 28 მარტისა — ამხ. ვლადიმერ თევდორეს ძე ჟიგალინის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;
- 1963 წლის 11 აპრილისა — ამხ. ალექსი ვასილის ძე თოფჩიევის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;
